საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
ბრძანება N 01-11/28

ქ. ბათუმი 16 აპრილი, 2013 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №2 გადაწყვეტილების და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ჟანა ჯიბლაძის 2013 წლის 12 აპრილის № 1639 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა შესარჩევად გამოცხადდეს კონკურსი.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სამართალმცოდნეობის სპეციალობის - ბსუ-ს ბაკალავრიატის დამამთავრებელი სასწავლო წლის/მაგისტრატურის სტუდენტთა ან ბსუ-ს კურსდამთავრებულთა მიერ **2013 წლის 17 აპრილიდან 24 აპრილის ჩათვლით პერიოდში** ბსუ-ს კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

   ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ **(დანართი 1);**

   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ნიშნების ფურცელთან ერთად/ დიპლომის ასლი;

   დ) ერთი ფოტოსურათი (3X4);

   ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

3. სტაჟიორთა შერჩევისას, საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კანდიდატის აკადემიურ მოსწრება; მოტივაცია; საოფისე კომპიუტერული პროგრამების კარგად ფლობა. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებს.

4. 2013 წლის 29 აპრილს, კონკურსის წესით, გასაუბრების საფუძველზე შეირჩევა 4 სტაჟიორი (ორ-ორი სტაჟიორი, დილისა და საღამოს ცვლებში სამუშაოდ). შერჩეული კანდიდატები 2 თვის განმავლობაში დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების დახმარებით ან/და კოორდინირებით: მოამზადებენ სამართლებრივი აქტებს, სარჩელებს, შეპასუხებას, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებს, მიიღებენ მონაწილეობას სასამართლო პროცესებში, წარმართავენ საქმეებს სააღსრულებო წარმოებაში. სტაჟირების პროგრამის გავლის შემდეგ, სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ყველაზე წარმატებული 2 სტაჟიორი დასაქმდება არაუმეტეს 6 თვიანი კონტრაქტით. სამუშაო საათები განისაზღვრება შემდეგი განრიგით:

ორშაბათი - პარასკევი

პირველი ცვლა

9^{00} სთ - 13^{00} სთ

მეორე ცვლა:

14^{00} სთ - 18^{00} სთ

5. წარმატებულ სტაჟიორებზე გაიცემა სათანადო სერტიფიკატები.
6. კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება 400 ლარით;
7. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ედიშერ ჩავლეიშვილი**

დანართი 1.

განაცხადი სტაჟირებაზე

1. გვარი, სახელი ----------
2. დაბადების ადგილი, თარიღი ----------
3. მოქალაქეობა ----------
4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------
5. ოჯახური მდგომარეობა ----------
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი:

---

7. ბსუ-ს რომელ ფაკულტეტზე, სპეციალობაზე სწავლობთ

ჩარიცხ.წელი	მიმდ. სემესტრი	სპეციალობა	ფაკულტეტი

8.. რომელ უცხო ენებს ფლობთ, ცოდნის დონე:

შეაფასეთ ენის ცოდნის დონე შემდეგი ტერმინებით: სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად.

ენა	კითხვა	მეტყველება	წერა

10. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

---

11. რატომ აირჩიეთ აღნიშნული სპეციალობა, მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი პროფესიონალური გეგმები და მიზნები.

---

12. მიუთითეთ, თუ რომელ ცვლაში გსურთ სტაჟირების გავლა ----------

13. თქვენი ინტერესთა სფეროები ----------

14. რა სახის გრანტები და სტიპენდიები გაქვთ მოპოვებული:

როდის	ორგანიზაცია - დაწესებულება	თანხის ოდენობა

15. შრომითი საქმიანობა

როდიდან-როდემდე	უწყება, ორგანიზაცია,	თანამდებობა,	მისამართი უწყების/ ორგანიზაციის სადაც, მუშაობდით

16. ხართ თუ არა საზღვარგარეთ ნამყოფი კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა პროფესიული მიზნით: სად, როდის?

---

17. გთხოვთ ცალკე ფურცელზე დეტალურად დაასაბუთოთ თუ რას ელით სტაჟირებისაგან. დაიცავით ქვემოთ მოცემული ინსტრუქციები შინაარსის შესახებ.

შინაარსი

- თქვენი პროფესიული მიზნები;

· რა როლს ითამაშებს სტაჟირება აღნიშნული მიზნების მისაღწევად?

· რატომ აირჩიეთ თქვენ მიერ ზემოთ მითითებული სტრუქტურული ერთეული სტაჟირებისათვის?

· როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი წვლილი აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში?

---

18. შენიშვნები

შევსების თარიღი ----------

პირადი ხელმოწერა ----------